ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4115266

ნომერი: AR1618868

თარიღი : 03.08.2018

გაცემის თარიღი : 10.08.2018

გაცნობის თარიღი : 11.08.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტრიკოტაჟი , N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანაჰით მხოიან პ/ნ 01691016186
- საქართველო, ქალაქი თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა, N 2დ

ორგანიზაცია:

- საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი კოდი: 405033501

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა დაკონკრეტდეს საპროექტო ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება.

2. წარმოსადგენია საპროექტო შენობის გეგმა ზომების მითითებით. აქვე გაცნობებთ, რომ I კლასს განეკუთვნება: 60 კვ.მ-მდე ფართობის (იანგარიშება კიბის საფეხურების ჩათვლით) 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ისა და არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა).–პუნქტი 3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული, ხოლო ქ. თბილისში – ქ. თბილისის მთავრობა, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების ასაშენებლად მშენებლობის ნებართვის საჭიროების თაობაზე, რაც გაიცემა II კლასის მშე-ნებლობებისათვის დადგენილი წესით.

3. ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება სააქციო საზოგადოება ,,თელასი“-ს ხაზობრივი ნაგებობა (ს.კ. N 01.00.708), საჭიროა წარმოდგენილ იქნეს თანხმობა აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით.

4. წარმოდგენილ იქნეს საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასის პრეზდინეტის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგნელობას სამსახურში ან დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. თუ განსახორციელებელი სამუშაოებით ეხება სარგებლობით გაცემულ ფართებს წარმოდგენილ იქნეს მათი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. ერთ-ერთ სარგებლობას ვადა აქვს გასული, განიმარტოს ეხებით თუ არა აღნიშნულ ფართს. შესაბამისად თუ აღნიშნული ფართი აღარ არის სარგებლობით გაცემული განახლდეს ამონაწერი და სარგებლობა აღარ ფიქსირდებოდეს

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.